

**გეოსარიონ ზოიძე
ირაკლი გურდული**

**თანამედროვე სახელმწიფოებში
სამართლის აქტუალური საკითხები**

თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები

*თანამედროვე კერძო სამართლის
ინსტიტუტი*

*საკორპორაციო, საბანკო და
ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი
(თსუ, იურიდიული ფაკულტეტი)*



თბილისი, 2018
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

კვლევა შეეხება კაპიტალის ბაზრის სუბსტანციურ საკითხებს, დაკავშრებულს იმ არსებით თვისებებთან, რომლებიც მისი მუშაობისათვისაა აუცილებელი. იგი, ძირითადად, განკუთვნილია ამ სფეროს სპეციალისტი იურისტებისა და ეკონომისტებისათვის.

ბესარიონ ზოიძე - ნაწილი პირველი
ირაკლი ბურდული - ნაწილი მეორე

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018

© ბ.ზოიძე; ი.ბურდული, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას #75; 0171

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9561-1-9

შინაარსი

ნაწილი პირველი - ხელშეკრულების განმარტება.....	7
I. განმარტების საბნის არსებობა, როგორც განმარტების წინაპირობა	7
II. განმარტების პრინციპების მნიშვნელობა.....	9
III. ფართო და ვიწრო განმარტების შესახებ	11
IV. სამართალშეღაცება როგორც განმარტების მართლი	13
V. კანონის და ხელშეკრულების განმარტების ურთიერთმიმართება	18
VI. ხელშეკრულების გრამატიკული განმარტება ...	20
1. ზოგადად	20
2. გრამატიკული განმარტება საერთო სამართალში	22
3. გრამატიკული განმარტება აშშ სამართალში	24
4. გრამატიკული განმარტება ევროპულ სამართალში	26
5. ხელშეკრულების განმარტება ზეპირი განცხადების საფუძველზე	30
VII. ზოგადად სუბიექტური და ობიექტური განმარტების ცნება.....	32
VIII. ნების თეორია (სუბიექტური განმარტება)	35
1. კერძო ავტონომია და სუბიექტური განმარტება.....	35
2. ხელშეკრულების „პირობათა ავტორობა“	37
3. ხელშეკრულების შეცნობადობის (გაგების) ჰორიზონტი ...	39
4. ადრესატის დამოკიდებულება ნების გამოვლენის მიმართ	41
5. კვლავ ნებისა და ნების გამოვლენის ურთიერთმიმართების შესახებ	43
6. გაგების ჰორიზონტის (ემპირიული და აბსტრაქტული ნების) შესახებ (გაგრძელება)	44
7. ადრესატის მიერ გაცხადებული ნების ცოდნის ვალდებულების შესახებ	46
8. მტკიცების ტვირთის განაწილება	48
9. კვლავ ნების გამოვლენის სიცხადის შესახებ	49

10. სუბიექტური კრიტერიუმის მტკიცების გართულება.....	51
IX. ნაზის გამოვლანის თეორია (ოზიქტური გან- მარტაბა)	53
1. გონიერი პირის შესახებ (წინას გავრძელება)	54
2. გონიერი პირის მიერ გასათვალისწინებელი გარემოებანი	58
3. გონიერი პირი საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში	59
4. კვლავ გონიერი პირის მიერ მხედველობაში მისაღები გა- რემოებები	62
X. დამატებით განსათვალისწინებელი გარემოებანი	63
1. წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები	63
2. ხელშეკრულების დადების შემდგომი მოქმედებანი.....	65
3. წინა განმარტებებისა და მხარეთა შორის დამკვიდრებუ- ლი პრაქტიკის მნიშვნელობა	67
4. ხელშეკრულების ბუნება და მიზანი. ხელშეკრულების, როგორც მთლიანის განმარტება.....	69
5. ჩვეულებების მხედველობაში მიღება	74
6. სხვა გარემოებანი (ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო)	76
ნაწილი მეორე - ტრანზაქციები კაპიტალის გა- ზარზე: არსებული რეალობა და პროცესის თავი- სებურება	79
I. შესავალი	79
II. ფასიანი ქაღალდების გაზრისა და მასზე მზრუ- ნავი ოზიქტის - ფინანსური ინსტრუმენტის არსი	80
III. კაპიტალის გაზარზე დაშვება	94
1. კაპიტალის გაზრის მიზნობრივი არსი	94
2. გაზრის არსი გარე დაფინანსების კონტექსტში	98
2.1. სტანდარტიზებული ბრუნვის ინსტრუმენტი	98
3. საფონდო ბირჟაზე დაშვების წინაპირობები	103
4. დაშვების შინაარსობრივ-მატერიალური მხარე: პროცესის წარმართვა	107

4.1. ქალაქების ემისია: მომზადება, პროცესის წარმართვა	108
5. ბირჟაზე ფასიანი ქალაქების საჯარო ვაჭრობისთვის დაშვება და მისი წინაპირობები.....	113
5.1. ფასიანი ქალაქის განთავსების შინაარსი	113
5.2. ფასიანი ქალაქის საჯარო შეთავაზება	116
5.2.1. ემისიის არსი	120
6. ფასიანი ქალაქის საფონდო ბირჟაზე დაშვება	123
6.1. ფასიანი ქალაქების ბირჟის სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვების პირობები და წესი	125
6.2. არასაღმრთა ფასიანი ქალაქების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვების პირობები და წესი	129
7. რამდენიმე საკითხი გერმანულ-სამართლებრივ კონტექსტში	130
7.1. ფასიანი ქალაქის უმცირესი ღირებულება	130
7.2. ემიტენტის არსებობის ხანგრძლივობა.....	131
7.3. ფასიანი ქალაქის „სავაჭროუნარიანობა“	131
7.4. დაშვების ორგანიზაციული მხარე	132
8. ფასიანი ქალაქის შეთავაზების „შიდა“ და „გარე“ მექანიზმი	134
8.1. დაუფლების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და შინაარსი	136
IV. არასაფონდო ბაზარი (OVER-THE-COUNTER MARKET)	138
1. მოკლე მიმოხილვა	138
2. გარიგებები საფონდო ბირჟის მიღმა და მისი სპეციფიკა ...	140

ნაწილი პირველი

ხელშეკრულების განმარტება

I. განმარტების საგნის არსებობა, როგორც განმარტების წინაპირობა

განმარტების დროს პირველ რიგში უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა სახეზე განმარტების საგანი. რაც არ არსებობს, იმისი განმარტება შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ ხელშეკრულების განმარტება ეხება ისეთ შეთანხმებულ ნებას, რომელიც შეიძლება ინოვაციად ხელშეკრულებად. ასეთად კი შეიძლება მივიჩნიოთ შეთანხმებული ნება, რომლის გამოხატვის ფორმაც აკმაყოფილებს მისი არსებობისათვის აუცილებელ პირობებს. ხელშეკრულების სუბსტანციას არსებითი პირობები განსაზღვრავს. ამ პროცესში აპრიორულია შეთანხმებული ნება და არა გამოხატვის ფორმა. მაგრამ, როცა შეთანხმებული ნების შემეცნება შეუძლებელია გამოხატვის ფორმის გარეშე, ცხადია, ფორმის არარსებობა ნების გამოვლენის არარსებობის მაუწყებელი იქნება. ამრიგად, განმარტების ობიექტია შეთანხმება, რომელიც არსებული მართლწესრიგით შეიძლება ინოვაციად ხელშეკრულებად. ამდენად, განმარტების საგანია მხოლოდ ნების გამოვლენა და არა სუბიექტის შინაგანი ნება.¹

შეთანხმება რომ ხელშეკრულებად აღიქმებოდეს, აუცილებელია შეცნობადი იყოს მისი შინაარსი. ნების გამოვლენის ბუნდოვანება არ უნდა იყოს იმ დონის, რომ ამან თავად ნების გამოვლენა დააყენოს ეჭვის ქვეშ. განმარტების ამოცანაა სიცხადის შეტანა ხელშეკრულების შინაარსში და ამ გზით მისი შემეცნება. თუკი შეუძლებელია ამის მიღწევა, მაშინ ხელშეკრულება არ არსებობს. ამ დროს განმარტებით მხოლოდ ის დგინდება, რომ არ არსებობს განმარტების ობიექტი (ხელშეკრულება). ის, რაც არ არსებობს, ვერც განმარტებით შეიქმნება. განმარტება ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა ნებას. თუმცა, ხელშეკრულების ფორმალური და ფაქტობრივი არსებობა დამოუკიდებელი საკითხია,

¹ Larenz, Karl/Wolf, Manfred, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 8. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 1997, 543, Rn. 34.

რასაც სამოსამართლო სამართლის ასპექტში განვიხილავთ.

დოქტრინაში აღიარებულია, რომ არც ბათილ შეთანხმებას ეხება განმარტება.² არარსებული გარიგებისაგან განსხვავებით, აქ გარიგება, როგორც ფაქტი, არსებულია, თუმცა, იგი არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მაშასადამე, სახეზეა ბათილი გარიგების ფაქტი, რომელიც სამართლებრივად ძალაუუნაროა. *ის, რაც ვერ გამოინვევს სამართლებრივ შედეგს, მისი განმარტებაც უსაფუძვლოა.* მოცემული მსჯელობის პარალელად შეიძლება დავასახელოთ კანონის კონსტიტუციურობა. კონსტიტუციურობის კუთხით ფასდება მხოლოდ ისეთი ნორმატიული მოცემულობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის დაცვითაა შექმნილი. მოკლედ, კანონის კონსტიტუციურობა რომ შეფასდეს, აუცილებელია ეს კანონი აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს. თუ ასე არ არის, მაშინ არც შეფასების საგანი გვექონია და იგი, როგორც კანონი, არ არსებულა. სხვა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საკუთრების ძირითადი უფლების კონსტიტუციურობის შეფასება. საკუთრების უფლებრივი კატეგორია მხოლოდ მაშინ შეიძლება ვაღიაროთ ძირითად უფლებად, როცა იგი მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შეიძლება იწოდებოდეს საკუთრებად. *ის, რასაც ვერ ვუწოდებთ საკუთრებას, ვერც საკუთრების ძირითადი უფლების კონტექსტში შეფასდება.* ამ საკითხზე ძლიერი პრაქტიკა დაგროვდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რაც ნაწილობრივ იმპლემენტირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტებში.³ მაგალითად, ქონება რომელიც შექმნილია კანონის დარღვევით, არ შეიძლება იწოდებოდეს საკუთრებად და შესაბამისად ვერც მისი კონსტიტუციურობა შეფასდება.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა დავაფიქსიროთ, რომ განმარტების დროს უნდა არსებობდეს განმარტების საგანი. საგანი კი მაშინ გვაქვს, როცა იგი აკმაყოფილებს მისი სუბსტანციის განმსაზღვრელ ნიშნებს,

2 ჯანაშია, ლევან, ხელშეკრულების განმარტება. წიგნში: სახელშეკრულებო სამართალი, გამომ. „მერიდიანი“, 2014, 154

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309,310,311 გადაწყვეტილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2005, თბილისი, 2006, 87.

რითაც ყალიბდება მისი სახე. ამდენად, ხელშეკრულება, რომ განიმარტოს, შეთანხმებული ნებით განპირობებული სამართლებრივი მოცემულობა ხელშეკრულების ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ერთი შეხედვით ეს ელემენტარული წინაპირობაა განმარტების მეთოდების გამოსაყენებლად, მაგრამ, როგორც ცალკეული სასამართლო პრეცედენტები მეტყველებენ, შეცდომები არ არის გამორიცხული.

II. განმარტების პრინციპების მნიშვნელობა

ხელშეკრულების განმარტება აპრობირებულ პრინციპებზეა აგებული. ეს პრინციპები სხვა არაფერია თუ არა განმარტების მეთოდები, რაც სპეციფიკურად აისახება სახელშეკრულებო სამართალში. ჩნდება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია ხელშეკრულების განმარტების პრინციპების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ხომ არ აჯობებს იგი სამოსამართლო სამართლის ან მეცნიერული დოქტრინის შეფასების საგანს წარმოადგენდეს? კანონმდებლობა ვერ აცდება ამ საკითხის მონესრიგების აუცილებლობას, მაგრამ მთავარია გაირკვეს თუ რა დონით უნდა მოხდეს ეს. უნდა ითქვას, რომ განმარტების მეთოდოლოგია იმდენად ფართო და უხილავია, რომ ვერც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას ვერ ექნება მისი სრულყოფილად მონესრიგების პრეტენზია. რეალურად ისინი ასეთი პრეტენზიით არც კი გამოდიან. სამოქალაქო კოდექსები მოკრძალებულად განსაზღვრავენ ხელშეკრულების განმარტების პრინციპებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლშია განთავსებული ხელშეკრულების განმარტების გენერალური ნორმები (მ.52, მ.337, მ.340), ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის მონინავე ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებშია. სამაგიეროდ, განმარტების პრინციპების ფართო მონესრიგებას შეიცავს საერთაშორისო უნიფიცირებული კანონმდებლობა, როგორიცაა უნიდროას პრინციპები კომერციულ „ხელშეკრულებათა შესახებ“⁴, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის „ხელშეკრულებათა შესახებ“⁵ გაეროს კონ-

4 შემდგომში „უნიდროას პრინციპები“.

5 შემდგომში „ვენის კონვენცია“.